



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველო

ბრძანება

№ 493

2016 წლის 17 მაისი

ქ.ლაგოდეხი

**მუნიციპალიტეტის დასახლებებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიების დამტკიცების  
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“, 85<sup>2</sup> მუხლის მე-6 პუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის N8 დადგენილების „დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის „ა.ა“; „ა.ბ“; „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1. დამტკიცდეს:**

- ა) მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500 -ს არ აღემატება, დანართის შესაბამისად;
- ბ) მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500 -ს აღემატება და 2000 -ზე ნაკლებია, დანართის შესაბამისად;
- გ) თვითონეულ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, დანართის შესაბამისად;

საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციული სამსახურის 17.05.2016 წ. N21 (შემოს.N1159) მომართვა.

**მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმინისტრაციული სამსახურის უფროსს გიორგი მჭედლიშვილი;**

**მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.**

**მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.**

გამგებელი:

კარლო ჯამბურია